სამიზნე ცნება:	ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი
შედეგები:	ქიმ.საბ.3, 6, 8, 9
საკითხი:	ელემენტები

კომპლექსური დავალების პირობა:

2019 წელი ქიმიის წლად იყო გამოცხადებული და ეძღვნებოდა ელემენტთა პერიოდულობის ცხრილის შექმნის 150 წლისთავს. პერიოდულობის ცხრილში არსებული ბევრი ელემენტის ისტორია საუკუნეებს ითვლის. ელემენტების სახელწოდებებს განსხვავებული წარმოშობა აქვთ. ზოგიერთის სახელწოდება მათი აღმოჩენის ადგილს უკავშირდება, ზოგი მითოლოგიას ან ასტრონომიას. მაგალითად, ელემენტ გერმანიუმის სახელწოდებაში ნათლად ჩანს მისი კავშირი გერმანიასთან, ეს ელემენტი 1886 წელს აღმოაჩინა კლემენს ა. ვინკლერმა (Clemens A. Winkler) გერმანიაში 🔗.

გამოიყენეთ ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი 🔗, დააკვირდით ელემენტების სახელწოდებებს და ამოწერეთ:

- სამი ელემენტი, რომელთა სახელწოდების წარმოშობა უკავშირდება *მითოლოგიას.*
- სამი ელემენტი, რომელთა სახელწოდების წარმოშობა უკავშირდება *გეოგრაფიულ მდებარეობას*.
- სამი ელემენტი, რომელთა სახელწოდების წარმოშობა უკავშირდება *ასტრონომიას.*
- სამი ელემენტი, რომელთა სახელწოდების წარმოშობა უკავშირდება *ბუნებრივ მინერალებს*.
- სამი ელემენტი, რომელთა სახელწოდების წარმოშობა უკავშირდება *ისტორიულ პიროვნებებს*.

მოამზადეთ პრეზენტაცია და ხაზგასმით წარმოაჩინეთ ინფორმაცია, თუ რამ განაპირობა ელემენტებისათვის ამ სახელების მინიჭება.

პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

რესურსები

- სკოლის სახელმძღვანელოები
- ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი
- ნებისმიერი დამატებითი რესურსი ამ საკითხებთან დაკავშირებით (მაგ,)

რეკომენდაციები პრეზენტაციის მომზადებისთვის

- პირველ სლაიდზე უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია თქვენს შესახებ. სახელი, გვარი, სკოლა, კლასი, პრეზენტაციის სათაური (ამ შემთხვევაში შეგიძლიათ მოიფიქროთ თქვენ).

- მეორე სლაიდიდან დაიწყეთ კითხვებზე პასუხის გაცემა. კითხვები ყველასთვის ერთნაირია, მაგრამ პასუხები შეიძლება იყოს მრავალფეროვანი.

- ინფორმაცია უნდა იყოს მოკლე, პრეზენტაციაში არ უნდა იყოს ბევრი ტექსტი. შესაძლებლობების ფარგლებში უნდა იყოს გაფორმებული ვიზუალურად.

- ბოლო სლაიდზე უნდა იყოს მოცემული გამოყენებული წყაროები (სახელმძღვანელო, ნებისმიერი წიგნი, ინტერნეტ რესურსების ვებ მისამართები)

რეკომენდაციები შეფასებისათვის:

პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები:

- რამდენად ზუსტად არის კითხვებზე გაცემული პასუხები;
- გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება;
- პრეზენტაციის გაფორმების კულტურა

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	ძალიან კარგი 3 ქულა	კარგი 2 ქულა	საშუალო 1 ქულა
პრეზენტაციის გაფორმების კულტურა	სრულად გაფორმებულია მრავალფეროვანი მასალებით და დაცულია წესები	ძირითადად გაფორმებულია და ნაწილობრივ დაცულია წესები	უმნიშვნელოდ გაფორმებულია და არ არის წესები დაცული
კითხვებზე პასუხის გაცემა	პასუხი სწორად არის გაცემული ყველა კითხვაზე (5 კითხვა)	პასუხი სწორად არის გაცემული კითხვების ნაწილზე (3-4 კითხვა)	პასუხი სწორად გაცემულია მხოლოდ 1-2 კითხვაზე
გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება	გამოყენებულია და მითითებულია მრავალფეროვანი წყაროები	გამოყენებულია და მითითებული მხოლოდ რამდენიმე წყარო	არ არის მითითებული გამოყენებული წყაროები

სწორი პასუხის ვარიანტები

შენიშვნა: მოცემული პასუხები წარმოადგენს ნიმუშს. შესაძლებელია სხვა სწორი პასუხების არსებობაც.

- სამი ელემენტი, რომელთა სახელწოდების წარმოშობა უკავშირდება მითოლოგიას.

  პასუხი: (ირიდიუმი, ტანტალი, ტიტანი)
- სამი ელემენტი რომელთა სახელწოდების წარმოშობა უკავშირდება გეოგრაფიულ მდებარეობას.

  პასუხი: (გალიუმი, სპილენძი, პოლონიუმი)
- სამი ელემენტი, რომელთა სახელწოდების წარმოშობა უკავშირდება ასტრონომიას.

  პასუხი: (ურანი, სელენი, ტელური)

- სამი ელემენტი, რომელთა სახელწოდების წარმოშობა უკავშირდება ბუნებრივ მინერალებს.

  პასუხი: (ბორი, კალიუმი, კალციუმი)

- სამი ელემენტი, რომელთა სახელწოდების წარმოშობა უკავშირდება ისტორიულ პიროვნებებს.

  პასუხი: (კიურიუმი, აინშტაინიუმი, მენდელეევიუმი)